

ვლება, უფრო მეტ ეკონომიას გვაძლევს იქ, სადაც მათი ყოველდღიური მოხმარება ხანგრძლივია. მაგალითად, სასტუმრო ოთახში, გარე განათებებში ან სამეცადინო/სამუშაო მაგიდასთან.

**ნათურების შეცვლასთან ერთად
დაზოგავთ ენერჯიასა და ბიუჯეტს,
თუ გაითვალისწინებთ
შემდეგ რჩევებს:**

- დაიცავით ნათურებისა და ბრების სისუფთავე;
- მაქსიმალურად გამოიყენეთ ბუნებრივი განათება — დღის სინათლე;
- ოთახი შეღებეთ უფრო ნათელი ფერებით;
- ოთახიდან გასვლისას გამორთეთ განათება;
- მუშაობის დროს მიანიჭეთ უპირატესობა ადგილობრივ განათებას, როგორცაა მაგიდის სანათური.

მომზადებულია ენერგოაქტობის
პროექტის ფარგლებში.



European Bank
for Reconstruction and Development



WINROCK
INTERNATIONAL
Putting Ideas to Work

პროექტი ინიცირებულია და
დაფინანსებულია BP-სა და მისი
პარტნიორების მიერ.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად
დავგიკავშირდით:
თბილისი, 0160, დ.გამრეკელის ქუჩა №19,
ოფისი № 49, VI სართული.

ტელ: +99532 242540, 242541.

ფაქსი: +99532 242542

ელ.ფოსტა: eecgeo@eecgeo.org

ვებ. გვერდი: www.eecgeo.org

ენერგოეფექტურობის ცენტრი

საქართველო

ენერგოაქტობი ნათურები



განათების თანამედროვე საშუალებები:



ვარვარა ნათურები ყველაზე გავრცელებული განათების საშუალებაა, რომელიც მოხმარებული ელექტროენერჯიის მხოლოდ 10-20% გარდაქმნის სინათლედ.

ჰალოგენური ნათურა, რომელშიც ჩატუმბულია ინერტული აირები, რაც ზრდის მის ეფექტურობას 10-20%-ით და



ექსპლუატაციის ვადას ვარვარა ნათურასთან შედარებით.



მილისებრი ფლუორესცენტული ნათურა – დღის ნათების ნათურა. ასეთი ნათურები მოიხმარენ 80%-

ით ნაკლებ ენერჯიას ვიდრე ვარვარა ნათურა, მაგრამ მისი ენერგომოხმარება დამოკიდებულია ბალასტის ტიპზე.



კომპაქტური ფლუორესცენტული ნათურა – იგივენაირად მუშაობს როგორც დღის ნათების ნათურა და მოიხმარს 75%-ით ნაკლებ ელექტროენერჯიას, ვიდრე ვარვარა ნათურა. მოსახერხებელია საყოფაცხოვრებო მოხმარებაში, რადგანაც გააჩნია ვარვარა ნათურისნაირი ბუდე.

ბაში, რადგანაც გააჩნია ვარვარა ნათურისნაირი ბუდე.

მნათი ანუ სინათლის გამომსხივებელი დიოდები – მათში გამოყენებულია ნახევარგამტარის კრისტალი.



დიოდებს იყენებენ 10 ვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მონოკობილობებში: დეკორატიული განათებისათვის, ფარანში, საახალწლო ნაძვის ხის განათებისათვის და სხვა.

საქართველოში საშუალო ოჯახის ენერგოდანახარჯების დაახლოებით 11 % განათებას ხმარდება. განათების თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს შევამციროთ განათებისთვის მოხმარებული ენერჯია და გადასახადები.

ვარვარა ნათურის საექსპლუატაციო ვადა 800-1000 სთ-ია, მაშინ როდესაც თანამედროვე კომპაქტური ფლუორესცენტული ანუ ენერგოდამზოგი ნათურის 8000 — 10000 საათი, ესე იგი 10-ჯერ უფრო მეტი. ამავდროულად, იგივე ნათების მქონე ენერგოდამზოგი ნათურა 75%-ით ნაკლებ ელექტროენერჯიას მოიხმარს ვიდრე ვარვარა.

ერთი 100 ვტ-იანი ვარვარა ნათურის შესაბამისი ენერგოდამზოგი ნათურით ჩანაცვლება, თუ იგი ყოველდღიურად 6 საათის განმავლობაში ანთია, ელექტროენერჯიის წლიურ გადასახადს დაახლოებით 26 ლარით შეამცირებს.

ცხრილში მოცემულია ანალოგიური ნათების მქონე ვარვარა და ენერგოდამზოგი ნათურის სიმძლავრეები

ვარვარა ნათურა	ენერგოდამზოგი ნათურა
25 ვტ	5-6 ვტ
40 ვტ	7-10 ვტ
60 ვტ	11-18 ვტ
100 ვტ	20-25 ვტ

გასათვალისწინებელია, რომ ვარვარა ნათურის ენერგოდამზოგი ნათურით ჩანაც-